02/08/2024

MES 3 24 0000935339

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 22 ივლისს 14:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Jul 22, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/85157320299?pwd=YnG8bypVTistjbeWhJ4v11o9G8Mvkp.1
Meeting ID: 851 5732 0299
Passcode: 414853

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიამნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი (საბჭოს მდივანი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენელი:

შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასი
ქეთევან მელაძე - დირექტორი
ირინა ივანიძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „კულტურული ტურიზმის გიდი" განმახორციელებელი პირი

ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
ელენე შატბერაშვილი - პროფესიული მომზადების პროგრამის „თხილის ბიოწარმოება" ხელმძღვანელი

სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
თეონა ხუფენია - რექტორი
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი
ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი
დემეტრე ლიპარტია - საქართველოს მოცვის მწარმოებელთა ასოციაციის (პარტნიორი ორგანიზაცია) წარმომადგენელი, „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა" პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

შპს „ლოტუსი"
თეა ებრალიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ლელა ლეჟავა - პროფესიული მომზადების პროგრამების „დიოდური ლაზერით ეპილაცია" და „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია" განმახორციელებელი პირი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ქეთევან ჯანელიძე

მზია ბერუაშვილი
თამარ ახალაძე
ირმა ორაგველიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასის „კულტურული ტურიზმის გიდი“ /02008/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას „თხილის ბიოწარმოება“ /01940/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /01949/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს „ლოტუსის“ „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ /01906/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს „ლოტუსის“ „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ /01905/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასის „კულტურული ტურიზმის გიდი“ /02008/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა, ქეთევან ჯანელიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 18 ივნისის №705048 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 24 ივნისს განახორციელეს ვიზიტი შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასში, ქ. თბილისში, ს. ჯანაშიას ქ. № 5-ში. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 2.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

რეკომენდაცია

ქვესტანდარტი 2.1 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით

ვინაიდან დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს წინარე ხელშეკრულებები, მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ განმახორციელებელ პირებთან დადებულ თითოეულ შრომით ხელშეკრულებაში აისახოს კონკრეტული სწავლის შედეგები, ანუ შესაძლებელი იყოს ხელშეკრულებაში დაიდენტიფიცირდეს რომელ სწავლის შედეგზეა პასუხისმგებელი ესა, თუ ის პირი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 48; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ს. ჯანაშიას ქ. № 5.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ტურიზმის ინდუსტრიისა და მისი ეკონომიკური მნიშვნელობის ბოლო დროინდელი ზრდიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტურისტული სერვისის, მათ შორის ტურისტული გიდების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს, რაც გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ აღნიშნული პროფესიული განვითარება ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარების განუყოფელ ნაწილად;

პროგრამა მიზნად ისახავს კულტურული ტურიზმის გიდების მომზადებას საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებული პროფესიონალების მიერ, როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ასევე, პროფესიული უნარების მიმართულებით;
უკანასკნელ წლებში გლობალურ დონეზე მიმდინარე ფაქტორებმა შეაფერხა ტურიზმის ინდუსტრიისა და მისი აქტივობების ტემპი არამხოლოდ გლობალურ, არამედ ადგილობრივ დონეზეც, თუმცა პროცესები ეტაპობრივად მიიწევს წინ, რაზეც მოწმობს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებიც.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტების შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული მომზადების პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის საშუალო კვირეული დატვირთვა არის 12 საათი. აღნიშნული დატვირთვა ნაწილდება შემდეგნაირად. კვირაში სამი დღე ეთმობა ჯგუფის აუდიტორულ მეცადინეობას, ხოლო კვირას ხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობები, რაც გულისხმობს ტურების განხორციელებას თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ტრანსპორტირების ხარჯებს რეგიონებში გასვლის დროს.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რომელსაც დაწესებულება სხვადასხვა ფორმით უზრუნველყოფს. ორგანიზაციას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები რამდენიმე კომპანიასთანაც: ა(ა)იპ საქართველოს გიდების ასოციაციასთან, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან. ასევე, შპს „ნიუკას“-თან, რომლის დამფუძნებელი თავად შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასის დირექტორი გახლავთ, აღნიშნული კომპანია ახორციელებს, როგორც შემომყვან ტურიზმს, ისე ღონისძიებების მენეჯმენტს, შესაბამისად პროგრამის მსმენელებს კარგი შესაძლებლობა ეძლევათ გაიარონ სტაჟირებაც რეალურ სამუშაო გარემოში.
პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ერთად სწავლების პროცესში მრავალჯერადად იგეგმება და ხორციელდება ტურისტული მარშრუტები იმიტირებულ, თუ რეალურ ტურისტულ ჯგუფებთან ერთად.
ტურები ხორციელდება როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. მსმენელები პრაქტიკულად იყენებენ თეორიულად მიღებულ ცოდნას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური, სასწავლო რესურსით. პროგრამას ჰყავს 10 განმახორციელებელი პირი; მათი კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით; ვიზიტის დროს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადასტურდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება, მზაობა და სურვილი.
წარმოდგენილი განაცხადით პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია - 24 მსმენელი, რაც ეფუძნება არსებულ ინფრასტრუქტურას, სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო ფართს და დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ვიზუალური დათვალიერებით და გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო გარემოში არის ერთდროულად უზრუნველყოფილი 12 მსმენელის ადგილი და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა შესაძლოა განხორციელდეს ცვლებში ერთი ჯგუფისთვის (12 მსმენელი) გულისხმობს სააუდიტორო სივრცეში კვირაში სამჯერ ორ ექვს საათიან მეცადინეობას. კვირა დღე არის გასვლითი. ამ ლოგიკით, ერთ ცვლაში კვირის განმავლობაში

სივრცის გამტარობა შეადგენს 24 მსმენელს, ხოლო ორცვლიანი სწავლების რეჟიმში კვირის განმავლობაში მსმენელთა რაოდენობა იქნება 48 მსმენელი.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში.
„ნიუკასი“ პროფესიული ტრენინგ პროგრამების პროვაიდერია 2005 წლიდან. პროფესიული ტრენინგების შექმნის იდეა გაჩნდა 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ტურისტული გიდების მეტად მცირერიცხოვანი რაოდენობიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენდა სერიოზულ დაბრკოლებას ქვეყანაში შემომყვანი ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის. დაბრკოლებას წარმოადგენდა, როგორც მათი მცირე რაოდენობა, ასევე, სერვისის ხარისხის დაბალი დონე. განსაკუთრებული გამოცდილება „ნიუკასმა“ ტურისტული გიდების მომზადებითა და გადამზადებით შეიძინა.
2010 წელს, შპს „ნიუკასის“ კურსდამთავრებულთა ბაზაზე ჩამოყალიბდა ა(ა)იპ საქართველოს გიდების ასოციაცია, რომელიც მალევე გახდა გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის წევრი, ხოლო 2017 წელს, ორგანიზაციამ მოიპოვა უფლება ემასპინძლა გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის რიგით მე-18 კონგრესისთვის. 2018 წელს მოხდა შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასის დამოუკიდებელ კომპანიად ჩამოყალიბება და მისი გამიჯნვა შემომყვანი ტურიზმის საქმიანობიდან, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო პროგრამების განვითარებას, დახვეწას და მათი პოპულარობის ზრდას ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა, ან პოტენციურ დასაქმებულთა წრეებში. დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას და ის ერთვება აღნიშნული დარგის განვითარების პროცესში.
იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი ”პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები” ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა გასაუბრების ფორმები და კითხვარები.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“ რაც ემყარება „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის (PDCA)პრინციპს. რეგულაციის თანახმად პროგრამის შეფასება განხორციელდება პროგრამის ყოველი ნაკადის ბოლოს. პროგრამის შეფასების პროცესი ციკლური ხასიათისაა. შეიძლება დაიწყოს პროგრამის დაწყებამდე/პროგრამის განმავლობაში და დასრულდეს პროგრამის დასრულების შემდგომ. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარებიც.
რაც შეეხება 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არ არსებობის გამო აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და მიმართა თხოვნით აკადემიის წარმომადგენლებს ესაუბრათ მოკლედ თუ როგორ ახოციელებდნენ არაფორმალურად მსგავს პროგრამას და ასევე დაინტერესდა, თუ რამდენი მსმენელის მიღებას აპირებდნენ ამ ეტაპზე და რა მოლოდინი ჰქონდათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან მელაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს და განაცხადა, რომ აკადემიას 19 წელი შეუსრულდა, საკმაოდ სოლიდური რაოდენობის კურსდამთავრებული ჰყავს აკადემიას. მან დასძინა, ძალიან მნიშვნელოვანია ტურს უძღვებოდეს ისეთი გიდი, რომელსაც ექნება გარკვეული კომპეტენცია დარგის კუთხით,

აკადემიის მთავარი ამოცანაა მიაწოდოს მსმენელებს მაქსიმალურად ქვეყნის გეოგრაფიის, გასტრონომიის, ღვინის და სხვა საკითხებზე, ასევე უმთავრესია მსმენელებს განუვითარდეთ ის უნარები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გიდის პროფესიაში.
დარგის ექსპერტმა ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამის მეტი წილი (60%) ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს, თეორიული სწავლების შემდეგ მსმენელები გადიან პრაქტიკულ ნაწილს ობიექტებზე, კვირის განმავლობაში შეძენილი თეორიული სწავლების განსამტკიცებლად. თუ არ მოხდება აღქმა, რასაც ისწავლიან თეორიულად, მაშინ შედეგს ვერ მიაღწევენ.
საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე და მიმართა აკადემიის წარმომადგენლებს აპირებდნენ თუ არა რეკომენდაციის გათვალისწინებას, რაზეც აკადემიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ აპირებდნენ დაეზუსტებინათ ინფორმაცია სწავლის შედეგებთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ მას ადრეც ჰქონდა კომუნიკაცია ქალბატონ ქეთევან მელაძესთან და დასძინა, რომ მოხარულია ასეთი პროფესიონალების პროფესიული მომზადების/გადამზადების ფორმალურ გარემოში შემოსვლას და წარმატებები უსურვა აკადემიას.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასის „კულტურული ტურიზმის გიდი“ /02008/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასს (ს/კ: 404554451) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კულტურული ტურიზმის გიდი /02008/ **(დანართი 1)**.

2. ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას „თხილის ბიოწარმოება“ /01940/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 6 ივნისის №627708 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანაში“, მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, გაზაფხულის ქ. №61. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „თხილის ბიოწარმოება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.4 და 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ხარვეზი

ქვესტანდარტი 1.4. - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მხოლოდ საშუალო განათლება არ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - 7 კვირაში (63 საათი).

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და სასწავლო დატვირთვა არ არის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური და ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ასევე გაიცა რეკომენდაციები 1.2 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

რეკომენდაცია

ქვესტანდარტი 1.2. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

პროგრამა „თხილის ბიოწარმოება“ აღწერაში ტექნიკური უზუსტობაა და ერთ-ერთ ფრაზაში მომზადების პროგრამის ნაცვლად მითითებულია „გადამზადების პროგრამა“ (თუმცა სხვა ყველა შემთხვევაში აღნიშნულია, რომ ეს არის მომზადების პროგრამა), რაც საჭიროებს შესწორებას.

ქვესტანდარტი 1.6. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროგრამის მე-2 შედეგის მისაღწევად – „თხილის ბაღის მოვლა და ნიადაგის ნაყოფიერების მართვა ბიომეურნეობაში“), სასურველია გაფართოვდეს და დაკონკრეტდეს პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკა და მე-3 კვირის თემატიკაში მითითებულ ღონისძიებებს (ნიადაგის ტიპის განსაზღვრა, საკვები ელემენტების დეფიციტის დადგენა, საანალიზო ნიმუშის აღება)

დაემატოს - ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები: ბიოკომპოსტის დამზადება და შეტანა, ბიომულჩის დაგება, მცენარეული სასუქების დამზადება, ბიოსასუქების შეტანა თხილის ბაღში და სხვ.
ასევე, მე-3 შედეგში - „მცენარეთა დაცვა თხილის ბიომეურნეობაში, თხილის ძირითადი მავნებლები, დაავადებები და მათი კონტროლი ბიომეურნეობაში“ - მე-5 კვირის თემატიკაში, რომელიც C გარემოში ხორციელდება, თხილის მავნებელ-დაავადებათა იდენტიფიცირებასთან, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გატარებასა და ფერომონების დაკიდებასთან ერთად, საჭიროა, ბიოპესტიციდებისა და ბიოწარმოებაში დაშვებული მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებების სამუშაო ნაზავების მომზადებისა და წესების დაცვით მათი სწორად გამოყენების პრაქტიკულად სწავლება თხილის ბიობაღში.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - პროფესიული მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა - 7 კვირა, სწავლების ენა - ქართული,
მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 25. პროგრამის განხორციელების ადგილი: თბილისი, გაზაფხულის ქ. №61, ზუგდიდი, სოფ. დარჩელი, შ. რუსთაველის ქ. №158.
წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ბიომეურნეობა წარმოადგენს ალტერნატივას დღევანდელი სოფლის მეურნეობისთვის. დღეისათვის, როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში, მნიშვნელოვნად იმატა ბიოფერმერთა რაოდენობამ, როგორც მემინდვრეობის, ისე მევენახეობის, მებოსტნეობის თუ მეხილეობის, მათ შორის ბიოთხილის წარმოების მიმართულებით. აღსანიშნავია, ისიც, რომ საქართველო მსოფლიოში თხილის მწარმოებელი ქვეყნების პირველ ხუთეულშია. შესაბამისად, იზრდება მოთხოვნილება ორგანული სოფლის მეურნეობის მეთოდების სწავლების შესახებ და ეს სფერო საჭიროებს კვალიფიციურ პერსონალს. თუმცა ამის შესაძლებლობა საქართველოს დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში ნაკლებადაა. „თხილის ბიოწარმოების“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ასოციაციას მიღებული აქვს ბიოთხილის საერთაშორისო ბაზრის რამდენიმე კვლევის , ISET-ის კვლევის და შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები, ექვსი სწავლის შედეგი, აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას ჰყავს პარტნიორი, ასოციაცია „კავკასნათი“, რომელთანაც გაფორმებული აქვს სამწლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში, მის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებას. ასევე უზრუნველყოფს, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ,,თხილის ბიოწარმოება'' მსმენელებისთვის პრაქტიკული კომპონენტი განახორციელოს უშუალო პროფესიულ გარემოში, გააცნოს კონკრეტული სამუშაოს სპეციფიკა, მუშაკისადმი წაყენებული მოთხოვნები.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. ასოციაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, თუ როგორ მოხდება მსმენელების

შეფასება. შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით. გათვალისწინებულია ორი შუალედური შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება დაგეგმილია ველზე.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა ადამიანურ, მატერიალურ და სასწავლო რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი ოთხივე პირი მაღალი კვალიფიკაციისაა. განმახორციელებელ პირებს აქვთ უმაღლესი განათლება, მათგან ორი სოფლის მეურნეობის დოქტორია, ერთი კი - ბიოლოგიის დოქტორი. ოთხივეს აქვს როგორც სოფლის მეურნეობასა და ბიოწარმოებაში პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილება, ასევე უშუალოდ ბიოთხილის წარმოებასთან მჭიდრო კავშირი.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა (25 მსმენელი) და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
მსმენელებისთვის გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული კომპონენტისთვის, რომელიც სათანადოდაა აღჭურვილი. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ C გარემოში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს, ხოლო მის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი სრულად უზრუნველყოფს საჭიროებების დაკმაყოფილებას და წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასოციაციას ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, 3.1, 3.2 და 3.4 ქვესტანდარტებს, ასოციაციას წარმოდგენილი აქვს ქვესტანდარტების შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო 3.3, 3.5, 3.6, 3.7 ქვესტანდარტები გამოცდილების არ არსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს განემარტა პროგრამის ხანგრძლივობასთან გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით, თუ რამდენი კვირით უნდა გახანგრძლივდეს წარმოდგენილი პროგრამა, რომ მსმენელებმა შეძლონ სწავლის შედეგების დადასტურება, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული წინაპირობა არ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - 7 კვირაში, აღნიშნული ხარვეზი თავისთავად იწვევს 1.7 ქვესტანდარტის ხარვეზსსაც, კერძოდ პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და სასწავლო დატვირთვა არ არის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური და ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ პროგრამის ხანგრძლივობის და საკონტაქტო საათების გაზრდა (12-14 კვირა) შესაძლებელს გახდის სწავლის შედეგების დადასტურების საკითხს, შესაბამისად მისაღები იქნება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წინაპირობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია აღნიშნულ ხარვეზთან და რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაზეც ელენე შატბერაშვილმა განაცხადა, რომ ასოციაციაში 2007 წლიდან არსებობს სასწავლო ცენტრი, აქვს გარკვეული გამოცდილება პროგრამების განხორციელების კუთხით, არაფორმალურად, მან დასძინა, რომ ასოციაციისთვის პირველი მცდელობაა და მნიშვნელოვანია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება, მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის ექსპერტებს. რაც შეეხება კონკრეტულ პროგრამას, ასოციაცია ახორციელებდა ამ პროგრამას 2011 წლიდან (ტრენინგ პროგრამა), შესაბამისად კურსდამთავრებულებს ასაქმებდა ასოციაცია.

მან დასძინა, რომ განმახორციელებელ პირებთან ერთად, თანამშრომლობით მოხდება ცვლილებების შეტანა, რაც შეეხება სეზონურობას, მან განაცხადა, რომ შესაძლებელია პრაქტიკული მეცადინეობის ისეთნაირად დაგეგმვა, რომ სეზონურობა იყოს გათვალისწინებული.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას „თხილის ბიოწარმოება“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას (ს/კ: 201950898) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - თხილის ბიოწარმოება /01940/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /01949/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 6 ივნისის №627707 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 25 ივნისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14), სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,სასოფლო - სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა რეკომენდაცია 1.6 და 1.9 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

1.6. ქვესტანდარტი - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროგრამის აღწერაში არ არის მითითებული ის გარემოება, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებაზე გავლენას ახდენს სეზონურობა და კლიმატური პირობები. გამომდინარე აქედან, შეიძლება შეიცვალოს/გადაადგილდეს პრაქტიკული კომპონენტი. სასურველია, პროგრამის აღწერაში მითითებული იყოს რომ სასწავლო პროცესში ცვლილება შეიძლება მოხდეს სეზონურობის/ან კლიმატური პირობებიდან გამომდინარე.

1.9 ქვესტანდარტი - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას

სასურველია დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეადგინოს გეგმა, სადაც ასახული იქნება თუ რომელ სწავლის შედეგს რომელი პარტნიორის ბაზაზე განახორციელებს და სასურველია ეს შეთანხმება გაიწეროს კალენდარული ვადების მითითებით.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მოთხე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა მთლიანად აწყობილია კერძო სექტორის და სახელმწიფო ინსტიტუციების მოთხოვნების საფუძველზე, ასევე, მასში ინტეგრირებულია კლიმატური ცვლილებების გათვალისწინებით ახალი მავნებლების, მათი პრევენციის და მართვის მეთოდები და მიდგომები.

დაწესებულება თვლის, რომ ასეთი განახლებული ცოდნა დღეს დარგში საკმაოდ მწირია. პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების დიდი კლასტერია აგრობიზნესი, რომელიც ვითარდება, თუმცა, კადრების დეფიციტის გამო, ხშირად ფერხდება. დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად კი სამეგრელოსა და იმერეთში, სადაც აქტიურია თხილის, ციტრუსის, კენკროვნებისა და სხვადასხვა ბოსტნეულ-ბაღჩეულის ინდუსტრიული ბიზნესები, მაღალი მოთხოვნაა თანამედროვე ცოდნით და უნარებით აღჭურვილ აგრონომზე, მცენარეთა დამცველზე.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის

განხორციელების ვადაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის მიმართულებით დასაქმებული პირი, ან თვითდასაქმებული მინიმუმ ერთი წლით.
წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები, აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამის ხანგრძლივობაა - 10 კვირა, სულ 92 საათი.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღთან და შპს ,,აგრო სახლთან", სადაც მსმენელები რეალურ სამუშაო გარემოში ისწავლიან.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა ადამიანურ, მატერიალურ და სასწავლო რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი ორივე პირი მაღალი კვალიფიკაციისაა, რაც დასტურდება წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, წარმოდგენილი პროგრამის თეორიულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან დაწესებულების სასწავლო სივრცეში (A გარემო), სადაც არის 15 მსმენელის სამუშაო ადგილი. პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან C გარემოში. ორივე გარემო აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 16 სასწავლო რესურსი. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი დაფუძნდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2007 წელს და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში პირველთაგანია, სადაც ხორციელდება ერთდროულად აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ყოველწლიურად პროფესიულ განათლებას ეუფლება 300-ზე მეტი პროფესიული სტუდენტი. დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე" ციკლის (PDCA) პრინციპით.
შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია დაწესებულების მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პირების და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა.
დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას. დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.
გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებით (ცვლილება 2022 წლის 22 თებერვლის №20 დადგენილება) დამტკიცებული აქვთ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების მარეგულირებელი წესი, დოკუმენტის მე-15 მუხლში გაწერილია სერთიფიკატის გაცემის პროცედურები, დაწესებულებაში 2022 წლიდან დღემდე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე გაცემულია 31 სერთიფიკატი.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ შეკითხვები არ ჰქონდა წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაში, ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა, ასევე შთამბეჭდავია ის სასწავლო გარემოები, რაც წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციის ბოლოს და მიმართა თხოვნით დაწესებულებას პოზიციის დაფიქსირება.
დაწესებულების რექტორი თეონა ხუფენია მიესალმა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს თემა უდაოდ აქტუალურია, შესაბამისად წარმოდგენილი პროგრამაც ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრარული მიმართულება, მითუმეტეს რეგიონში. უნივერსიტეტი პასუხობს ამ გამოწვევას, მართავს სტრატეგიულად, განსაკუთრებით რეგიონში პროფესული განათლება მხარდასაჭერია და შემდგომშიც ეცდება ისეთი პროგრამების განხორციელებას, რომელიც მხარდაჭერილია პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /01949/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა /01949/ **(დანართი 2)**.

4. შპს „ლოტუსის“ „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ /01906/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს „ლოტუსის“ „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ /01905/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ორაგველიძემ, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ივნისის №622066 ოქმის, „შპს ლოტუსის „დიოდური ლაზერით ეპილაცია“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ივნისის №623234, „შპს ლოტუსის „ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ივნისის №623235 გადაწყვეტილებების საფუძველზე, შპს ლოტუსის მიერ 2024 წლის 6 ივნისს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული განაცხადები(ID 01906; 01905). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 ივნისის №645592 და №645592 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ირმა ორაგველიძემ შეისწავლეს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამები.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წინა ვიზიტის დროს ორივე პროგრამის შემთხვევაში დაფიქსირდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში, ასევე გაიცა რეკომენდაციები 1.6 და 1.8 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ხარვეზი

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

წარმოდგენილი პროგრამების ხანგრძლივობა/ მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური არ არის, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა 2 კვირაში შეუძლებელია, ასევე საათების რაოდენობა (32 საათი) არ არის საკმარისი სწავლის შედეგების მისაღწევად - **ხარვეზი აღმოფხვრილია.**

რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია აღნიშნული პროგრამების სწავლის შედეგების ფორმულირება დაკორექტირდეს **რეკომენდაცია გათვალისწინებულია**

კომპანიამ სწავლის შედეგების ფორმულირება დააკორექტირა, შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

რეკომენდებულია სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით იყოს მრავალფეროვანი - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**

კომპანიამ დაამატა სწავლების მეთოდები - ინსტრუქტაჟი, როლური თამაშები, შემთხვევის ანალიზი.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა ორივე პროგრამის პარამეტრები, სადაც ფიქსირდება, რომ პროგრამის ხანგრძლივობა შეცვლილია და არის 4 კვირა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლოტუსისთვის "დიოდური ლაზერით ეპილაცია" 01906/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ლოტუსს (ს/კ: 404878156) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დიოდური ლაზერით ეპილაცია /01906/ **(დანართი 3)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლოტუსის "ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია" 01905/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ლოტუსს (ს/კ: 404878156) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია /01905/ **(დანართი 4)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02008	კულტურული ტურიზმის გიდი	მომზადება	მეოთხე	12	ქართული	48	ქ. თბილისი, ს. ჯანაშიას ქ. 5

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01949	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა	გადამზადება	მეოთხე	10	ქართული	30	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01906	დიოდური ლაზერით ეპილაცია	მომზადება	მესამე	4	ქართული	10	ქ. თბილისი, ადამ მიცკევიჩის 27გ

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01905	ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაცია	მომზადება	მესამე	4	ქართული	10	ქ. თბილისი, ადამ მიცკევიჩის 27გ